ეროვნული ბიბლიოთეკა

ფასი 10 კაპ.
№ 7 (242)

ტარტაროზი

წელიწადი მეშვიდე
16 თებერვალი
1930 წ.

„კაკალ გულში“

ეროვნული ბიბლიოთეკა

„წითელი“ კულაკი

— კარგი რამეა ეს კოლექტივიზაცია, მაგრამ ჩვენს სოფელში, ვეჭვობ, რომ გატარდეს,—სთქვა სოფ. კვინწარის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე კვინწარიძემ, რომელიც თავმჯდომარის მოვალეობასაც ასრულებდა, რადგან თავმჯდომარე კოლმეურნეობათა ხელმძღვანელების კურსებზე იყო მიელინებული ქალაქში.

— არა, შეიძლება სხვაგან გატარდეს, მაგრამ ამ ჩვენ სოფელს რაღაც სპეციფიური, თავისებური პირობები ახასიათებს; ყველას შემოლობილი აქვს და კოლექტივის გულისთვის ღობეს ხომ ვერ გავარღვევთ...

სოფლის კომკავშირელები დიდ ფაციფუცში იყვენ: ისინი, ღარიბ-ღატაკებთან და საშუალო გლეხებთან ერთად, კრებას კრებაზე ატარებდენ კოლექტივიზაციის შესახებ.

თავმჯდომარის მოადგილე კვინწარიძე იშვიათად გამოვიდოდა კრებაზე და თუ რამეს იტყოდა, ისიც „სპეციფიურ“ და „განსაკუთრებულ“ პირობების შესახებ.

— იცოცხლეთ თქვენც და მეც, ეს თავისებური პირობები რომ არ გვიშლიდეს, ჩვენ კოლექტივიზაციას გავატარებთ... მაგრამ რა გინდა ქნა, პირობები? ყველას მისთვის აქვს სახლ-კარი და ეზო-მიდამო, ეზოში ხომ არ შეეჭრები მოსახლე კაცს და თითონ არ გადმოვა, რომც გადმოვიდეს, ვის ეზოში უნდა შეევიდეს, ყველას შელობილი აქვს...

ტყუოდა კვინწარიძე: შელობილობით კოლექტივიზაციას ხელი არ შეეშლება, ეს ყველამ იცის. მართალია, ღობე და ზღუდე აბრკოლებს მიწის განსაზოგადოებას, მაგრამ არსებობს ერთი საუკეთესო საშუალება ამ დაბრკოლების მოსასპობათ: ეს არის ღობის აღება სავსებით. ასე იქცევიან ყველგან, სადაც კოლექტივიზაციას ატარებენ.

მაგრამ საქმე იმაშია, რომ თვით კვინწარიძეს ეზო შემოლობილი ქონდა ახლად ნაყიდი ეკლიანი მავთულით და ხომ ყველამ იცის, რომ ასეთი ზღუდის აღება ისეთ „კოლექტივისტსაც“ გაუჭირდა, როგორიც არის სოფ. კვინწარის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, პარტკანდიდატი კვინწარიძე.

სხვათა შორის, იმასაც ამბობენ, რომ კვინწარაძე რაღაც შემთხვევით გადაურჩა პარტწმენდას, როგორც კულაკების მფარველი.

რაღაი კულაკებზე ჩამოვარდა ლაპარაკი, ვთქვათ ისიც, თუ როგორ უყურებს კვინწარიძე კულაკობას.

— სად? ჩვენს სოფელში კულაკი? აჰ! არ შეგჭამოთ ჭირმა, აქ კულაკს რა უნდა: ხუთი-ექვსი ხელმომთბარი გლეხია, მართალია, თითო-ოროლა მოჯამაგირეებიც ყავთ, მაგრამ რა ქნან, საქონელი ყავთ, მიწები და ადგილ-მამული, მარტო ხომ ვერ მოუვლიან!.. არ ვიცი, ძალიანს ვაკვირდებით, აგრამ კულაკობა ამ ჩვენს სოფელში არავისთვის შემიმჩნევია...

რას შეამჩნევდა კვინწარიძე. სად ეცალა სხვისი ქონების შესამჩნევად, როცა თავისას ვერ უთავდებოდა: ხარ-კამეჩი, ძროხები, ცხენი, ცხვარი, ღორები და გაშენებული მიდამო, — ეს ყველაფერი თავმჯდომარის მოადგილის საკუთრებას შეადგენდა.

იმ სოფელში თვითკრიტიკა ცოტა ჩახშული იყო, თორემ, შეიძლებოდა კვინწარიძისთვის პირში თქმა, რომ იგი თვითონ არის მამალი კულაკი.

მაგრამ კრიტიკის ასე გაშლა არ იყო მოადგილის პოლიტიკა.

ვინმე უნდა გავასახლო, თორემ მემარჯვენეობას დამწამებენ, — სთქვა მან ბოლოს და საერთო კრებაზე შეიტანა წინადადება სოფლიდან გაესახლებიათ ყოფილი მნათე, რომელმაც, ეკლესიის გაუქმების გამო, მართალია, თავი დაანება მნათეობას, მაგრამ ყოფილი მნათე ხომ მაინც იყო!

—აი, ამხანაგებო, ეს რელიგიის მსახური, ჩვენი ტყავის მძრობელი და სოფლის წურბელა... ეს გავასახლოთ და სოფელიც გაჯანსაღდება,—წარმოსთქვა მან.

მნათეს სული გასძვრა შიშით, მაგრამ...

— რას ერჩით მაგ ღატაკს! როდის ქადაგობდა, ან როდის სწირავდა, შენ თითონ დიაკვნათ არ იყავ მეორე მაზრაში?—მოესმა კვინწარიძეს ხმა და ყველა აჩოჩქოლდა. კვინწარიძე გაფითრდა. იგი ამ სოფელში სხვა რაიონდან იყო ჩამოსახლებული და მისი წარსულს მცოდნე არავინ ეგულებოდა.

თავმჯდომარის ჩამოსვლამ (ორიოდე დღის შემდეგ) დაარჩარა კვინწარიძის ბედის შებრუნება. იძიეს, იკვლიეს, ამოწმეს და გამოააშკარავეს, რომ კვინწარიძე მიტმასნებულია როგორც პარტიაზე, ისე საბჭოზე; რომ კვინწარიძე გაწითელ-გაკულაკებულა მოადგილეობის დროს და მჭიდრო კავშირი აქვს კულაკებთან.

ამას შემდეგ, რაღა საკვირველია, რომ კვინწარიძე, ეს „წითელი“ კულაკი გაასახლეს ხსენებული სოფლიდან, რომელიც უკვე გადავიდა მთლიან კოლექტივიზაცაზე.

ლახვარი.

სამართლიანი საყვედური

ცხენთსაშენმა საზღვარგარეთიდან გამოიწერა ინგლისური ჯიშის ცხენები, რომლებიც ადგილობრივ პირობებთან შედარებით უვარგისებია. ცხენებს კვებავენ რძით, შაქრით და სხვა ფუფუნებითი საკვებით.



ცხენი (გლეხს):—შენ კი აქ თივასაც ვერ იმეტებ და დილიდან საღამოამდე მამუშავებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემჩნეულია, რომ ზოგ ერთ დაწესებულებებში განუწყვეტელი საწარმოო კვირაზე გადასვლის შემდეგ გაბიუროკრატებული თანამშრომლები განგებ აჭიანურებენ საქმეს.

— **ბანუწყვეტელ** საწარმოო კვირაზე გადასვლამ განახლება უნდა შემოიტანოს ჩვენს დაწესებულებაში. ბიუროკრატიზმის ნაშთები, თუ კი ასეთი კვლავ დარჩენილა ჩვენს დაწესებულებაში, სამუდამოთ უნდა აღმოიფხვრას. სიზარმაცისა და სამუშაო საათების გაცდენას ბოლო უნდა მოეღოს.—ასე დაასრულა თავისი სიტყვა გამგემ მოსამსახურეთა კრებაზე.

—:

— **ბიურბი**, განუწყვეტელ საწარმოო კვირაზე გადასვლის გამო, დასასვენებელ დღეების ცხრილი გაკარი თვალსაჩინო ადგილას.— უთხრა გამგემ საქმეთა - მმართველს და ცხრილი გადასცა.

კედელზე გაკრულ ცხრილთან თანამშრომლებმა თავი მოიყარეს.

— მე კვირას მერჩია!

— მე სამშაბათს მინდოდა!

— მე ხუთშაბათს!— საყვედურობდენ თანამშრომლები.

გამოირკვა, რომ ყველას გემოვნების-და მიხედვით ცხრილი არ იყო შედგენილი. საჭირო შეიქნა ხელახალი ცხრილის შედგენა, რასაც გამგემ და საქმეთა - მმართველმა მთელი დღე მოანდომეს.

ნიხილეს საერთო კრებაზე. ცხრილის საკითხმა მიიღო პერმამენტარული ხასიათი. სწარმოებდა დღეების [illegible] - გადმოცვლა, ახალ-ახალი ცხრილის შედგენა. ცხრილთან კვლავ შეჯგუფება, შეხლა - შემოხლა და კამათი. ბოლოს ადგილკომის ჩარევის შემდეგ, როგორც იქნა,

— **ამხანაგო**, საქმეთა-მმართველი თქვენა ხართ?— შეეკითხა საქმეთა-მმართველს ჭალარა კაცი, რომელსაც ხელში რაღაც ქაღალდი ეჭირა.

— დიახ, მე გახლავარ!— უპასუხა საქმეთა-მმართველმა.

— ნახეთ ეს თხოვნა, და რაც შეიძლება მალე გამისტუმრეთ, ქარხანაში მიგვიანდება.

საქმეთა-მმართველმა თხოვნა გადაიკითხა და მთხოვნელს ზრდილობიანათ უთხრა:

— ამხანაგო, დღეს გამგეს დასასვენებელი დღე აქვს. თხოვნაზე საჭიროა მისი რეზოლიუცია. დაგვიტოვეთ, მობრძანდით ხვალ და მზათ დაგახვედრებთ.

ჭალარამ მადლობა გადაუხადა და წავიდა.

—:—

მეორე დღეს ჭალარა კაცი შევიდა ხსენებულ დაწესებულებაში და და საქმეთა- მმართველის მაგიდისაკენ გაექანა, მაგრამ საქმეთა-მმართველი იქ არ დახვდა. ბევრი ძიების შემდეგ, მას განუცხადეს, რომ —საქმეთა - მმართველს დღეს დასასვენეესული დღე აქვსო.

— ჩემი თხოვნა?

— თქვენი თხოვნა მისი მაგიდის უჯრაშია ჩაკეტილი და ხვალამდე არაფერი გაეწყობა.

მესამე, დღეს კვლავ გამოცხადდა ჭალარა კაცი ხსენებულ დაწესებულებაში და საქმეთა-მმართველს წინ აეტუზა.

— ჰო, მართლა, გუშინ მე დასვენების დღე მქონდა, ეხლავე, ეხლავე.... ჟორა, გამგის რეზოლიუციის მიხედვით ამ კაცს გაუკეთე მიმართვა და მიეცი!—და თხოვნა გადაეცა საქმის - მწარმოებელს.

საქმის - მწარმოებელმა თხოვნას ახედ-დახედა, გადააბრუნა, გადმოაბრუნა, და საკმაო დროსა და ლოდინის გასვლის შემდეგ, გაუკეთა წარწერა, ადგა და თხოვნა მემანქანის მაგიდაზე დასდო; ჭალარა კაცს კი ასე უთხრა:

— შემოიარეთ, ამხანაგო, ხვალ და მიიღებთ.

— რაო! რატომ ხვალ? დღეს არ გაკეთდება თუ?— გაცხარდა ჭალარა კაცი.

— დღეს არ გაკეთდება. მიმართვა დასაბეჭდია. მემანქანე ქალი დღეს აქ არ არის, დასასვენებელი დღე აქვს და ისვენებს.

—:—

ჭალარა კაცი დღესაც იქ იყო და ასეთი პასუხით გამოისტუმრეს:

— თქვენი ქაღალდი დაბეჭდილია, მაგრამ საჭიროა მისი რეგისტრაციაში გატარება, რეგისტრატორი კი დღეს ისვენებს, შემოიარეთ ხვალ.

—:—

ვნახოთ ხვალ ეღირსება თუ არა ჭალარა კაცი თავისი ქაღალდის მიღებას.

ტოქსინი.

აი მიზეზი



— რა კარგია ჭიანური?! საქმის გაჭიანურებაც მიტომ მიყვარს მე, რომ ჭიანურს მაგონებს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ხათრისთვის“

მე გახლავართ კოოპერატივში ნოქრად.

აფსუს ბიჭო იასონა, ცოდვა არაა შენ ნოქრად იყო? პირველი გილდის კუპეცი ვიყავი.

ამას წინეთ რაღაცა 100 წყვილი კალოში მომივიდა და ბედი ვიწყევლე იმის განაწილებაზე, რა ვქნა, ხათრს ყველაფერი შეუძლია.

60 წყვილი მართლაც საპატივცემო პირებისათვის გადავდევი. ერთი კომპლექტი, ანუ 7 წყვილი კალოში, გადავდე გამგისათვის. სამი კომპლექტი, ანუ 23 წყვილი — გამგეობის წევრებისა და მათი ოჯახში მყოფთათვის (ხომ გაგიგონიათ: კარგი ქენი გზას დადევი, გაიარე წინ დაგხვდებაო). 10 წყვილი — მემანქანე ქალებისათვის (აქ უკვე მთავარი როლი ესტეტიკამ ითამაშა. ისეთი ლამაზები არიან, ისეთი, რომ ჩამოდნები ადამიანი, როგორც ვაჭარი ოცხელი ჩამოდნა ქუთაისში). 4 წყვილი — კულტმუშაკისათვის. ერთი წყვილი ჩვენს მოლარე ლიზას. (ისე ნაზავს თვალებს, როგორც ხვთის მშობელი მარიამი იოსებ ხუროსთან არშიყობის დროს).

ახლა, ხომ გაგიგონია: — ჯერ თავო და თავო, მერე ცოლო და შვილოო. მეც ასე მოვიქეცი: ჩემი თავისთვის — 2 წყვილი გადავდე; ცოლისა და შვილისათვის — ოთხი.

არც სახვთო წერილის დოგმატი დამავიწყდა: **შეიყვარე მოყვასი შენი, ვითარცა თავი თვისიო.** მეც მოყვრებზე — 10 წყვილი გადავდე.

ჰო, და ასე, ჩემო ძმაო. ხათრს ყველაფერი შეუძლია.

გათენდა დილა. იმისანა დილა გაუთენდა შენ მტერს. არის ოჩერედი და ჯიკა-ჯიკავი, მარა რას იტყვი. სინდის გეფიცები ქუთაისის საბჭოთა მეორე აფთიაქი მომაგონდა.

გამახსენდა ჩემები. ვიფიქრე, მათთვის რომ კალოშები წინა დღით არ გადამედო, ხომ ასეთ ყოფაში იქნებოდენ - მეთქი, და ორი კაკლის ხელა ობოლი ცრემლები გადმოგორდენ ამ ქინძის-თავის ოდენა თვალებიდან.

გავაღე კარები, შეიქნა ყვირილი, კივილი, ჯღავილი, ხრიალი, გრიალი, გინება.

გადაწყობილ 60 წყვილ კალოშს ქე სძინავს არხეინად აგერ ყუთში.

ავიღე ეს 40 წყვილი კალოში და ვინც შემხვდა დაურიგე. სულ ოთხოთხი მანეთი მომცეს. ხურდის მისაცემათ ვის ეცალა, თვარა მაგას არ ვიკადრებდი, არ მოგიკვდეს ბიქტორა გოცაძე.

— კონჩილა! — გამოვაცხადე.

ხალხი უფრო აჰმაურდა.

არ გასულა 10 წამი და ვიღაცა დიდი კაცი მოდის და წინ კომსომოლა მოჰყვება.

გაჩხრიკეს კოოპერატივი.

მონახეს გადანახული კალოშები. პატრონების სახელი და გვარი სათითაოდ შიგ ეწყო.

მსკანჩეს და ამომაყოფიეს თავი ვირის აბანოში.

ესაა ადამიანობა?

მე კი მიკვირდა—რატომ დამიჭირეს, მარა რას იზამ!

„შიხლინსკი ბომბ“.

ორი გმირი

ბორჯომი

პირველია ილუშა აქ ყველასგან „ცნობილი“
გვარად წითელაშვილი, კაცი მართლა ცოდვილი.
ობლიგაციების ფულს ღდინი გააცალაო,
ჟურნალ-გაზეთებისაც მიაყოლა თანაო.
ქალთ ორგანიზაციას დაუყენა თვალია, —
იმათ ოცდა ხუთ თუმნით ბევრჯერ ღვინო დალია.
კიდეც აღძრეს საკითხი იმის დაჭერაზედა,
მაგრამ ვიღაც მფარველობს და ხელს უსვამს თავზედა.

მეორე ხომ ლექსოა ლალაშვილი გვარადა,
ილუშას რომ ამშვენებს, გახდომია „პარადა“.
ქარხანაში გაფლანგა კარგა ბლომად ფულია,
(რა ქნას ქეიფი უყვარს ვაჟკაცური, ძმურია)
მანაც გაანაწილა ქალებისა ფარაო,
თითქმის ათი თუმანი ჯიბეს ჩაიყარაო.

ტარკოური.

ფოთელი ვაჭრები

სცენა ბაზქითაბის კიოსკთან

პირველი ვაჭარი:

ხვალ ტორგ'ში მიყიდიან
რაც გადამრჩა ყველაფერს
და ეს მდგომარეობა
სულ მიფუჭებს სისხლს და ფერს.

—:—

იაკინთე მანახა
ნეტავ ამ გუხებაზე,
ვამღერებდი ვაჭრების
და ჩემს გახუნებაზე.

—:—

გულო გამხიარულდი,
ტირილით რა გამოვა,
გავკოტრდი და ეს არის,
აწ უარესი რა მოვა.

მეორე ვაჭარი:

მეკ, ერკუს, ირეკ, ჩორს,
ვინ სთქვა რომ ეს ასე სჯობს..
დღეს ვაჭრების გაკოტრება
არ შეადგენს ზღაპარს, ჭორს...

—:—

კალისტრატე, მოდი ახლო,
რად დამდნარხარ ასე შორს,
სამძიმარი გულის კვნესით
უნდა უთხრათ სწორმა სწორს.

—:—

ვაი ჩვენი ცოდვის ბრალი,
წარმოვადგენთ ცოცხალ მძორს
ამისთანა სიცოცხლე
ყვავს ქონდეს და გინდა ქორს.

მესამე ვაჭარი:

მეც თქვენ დღეში ვარ, ძმებო,
მეც ამიკრეს ნაბადი,
რა უდროო დროს დავრჩი
ამ ქვეყნად დანაბადი?

—:—

გასული წლის ნალოგებს
ათასობით გვათვლიან,
გულის სევდა - ვარამი,
ნეტავ თუ გადივლიან?..

მეოთხე ვაჭარი:

დაკვრით წესით მოგვდგენ ი
აგვაცალის ქონია...
მინდა სადმე გავიქცე,
თუ მოვნახე ფონია.

—:—

ჩოთქი, მეტრი, დახლი, ფული.
მწარი მოსაგონია,
ვაი, თავო ოხერო,
რა დროება გქონია!.

ყველანი ერთხმად:

ხარჯთ ამკრეფმა ინსპექტორმ
წელს მართლა გაგვაცურა,
ჩვენი სული წაიღო
ისე მაგრად გაგვიწურა.

—:—

ვაი ჩვენო დახლო და,
ვაი ჩვენო დუქანო.
კიბოსავით მივდივართ
ეხლა უკან-უკანო.

ძველი ბელასიკა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



„ცილის წამება“

ვენაში შესდგა პოლიციელთა ინტერნაციონალის აღმასკომის სესია, რომელზედაც შობერი ისევ აირჩიეს ინტერნაციონალის პრეზიდენტათ.

დეპეშებიდან.

შობერი (ავსტრიის პრემიერი, სოც.-დემოკრატი): —ვინ სთქვა, რომ ჩვენ, სოციალ-დემოკრატები წინააღმდეგი ვართ ინტერნაციონალის... პოლიციელთა ინტერნაციონალის.

„პიატილეტკა“

ყველგან ამას გავიძახით — „პიატილეტკა. პიატილეტკა“-ო, — მაგრამ თუ გულწრფელად და რიგიანად არ მოვექეცით ი პიატილეტკასა, ის გამოვა, რომა ზოგიერთები, აი, გაბღინძებულეები და თხლეშიაშვილები რომ არიან, ი პიატილეტკასა დვაციტპიატილეტკად გადაგვიქცევენ.

ამას წინადა ერთ დირექტორს შეეკითხნენ:

— რა ქენით თქვე ი ტრესტის ქარხნები ახალ მანქანებზედ გადაიყვანეთ თუ არაო?

აღარ იკითხავთ რა უპასუხა: ამის გაგონებაზედა ერთი ისე გაიზმორა, თითქოს ნამძინარევი კამეჩი იყოსო, მერე კი ისე გაიჭიმა და გამაღლდა, რომა ნამდვილად ზაგესის ტოლბა გეგონებოდათ. მერე კი მთვრალი ინდაურივით წაილულლულა: ტოროპიტ სმისლა ნიეტ, ვპერედი მობრძანდა, რომა, როგორც პარახოდი ისე ექანებოდა აქეთ-იქით... ეჰეი, მისდგა და მისდგა ი ხალხსა, ჯერა კულიერი გამოლანძლა, მერე რეგისტრატორი, სეკლეტარი, დელავოდი, ჩეთავოდი, ბუღალტერი. მაგრამ შევიდა თუ არა თავის კაბინეთშია, იქვე ახლოს თავის მაშინისტკას მოჰკრა თვალი და რაზუმეიცა გუნებაც და ნასტრაენიაც მაშინვე შესცვალა.

აი, თქვენი ჭირიმე, ამისთანები კიდევ ბევრი გვყავს ი ჩვენ ვეჩრეკდენიაშია... სხედან ი ბაბუშკას გვრიტები და აბრკოლებენ ჩვენ პიატილეტკასა, მაგრამ მუშის მარჯვენასა ვერავინ დააბრკოლებს. რას არ შეგვიქმნის იმ მუშის მარჯვენა. ეს ვოლხვოსტროი, დნეპროსტროი, შატურის, ზაგესი, რიონგესი, აბგესი და პიატილეტკის მოლალატეებს შიგ ცხვირში დიდი სადგისი.

ძია ვასო.

ჯუმათი

გმადლობ, ბუნებავ, რომ ხშირად მზეა,
და ეს ზამთარი არა გავს ძველსა.
თორემ აქ გავლა ვის შეუძლია,
ვის ნახავ გზებზე მშრალად გამვლელსა!
აქ ბაზრის გასწვრივ ღელავს ტალახი,
პალიასტომის მოგავს ნაპირებს,
სადგურთან კაცი ვერ მივა ახლოს, —
(ნეტავ გიორგი რაღას აპირებს?!)
გივის, რწმუნებულს ლანჩხუთის ბანკის,
(ვამბობ—რომელიც ყიდულობს კუნძებს)
მას ვაჭრობაში არა აქვს მანკი,
მაგრამ ჩვენს გზებს-კი მეტად აფუჭებს.
ვეება ხეებს აგორებს, ათრევს,
შუა ბაზარში და სტოვებს გზაზე.
ვინაც დაიმტვრეს, არავის ხათრებს,
ურმით თუ ცხენით, არა სწუხს მაზე.
და ეს ბაზარი ასე დაიპყრო
ტალახით, „უნძით მსხალის და ნიგვზის, —
ამას რომ სჩადის, თუ ფიქრობს ამ დროს
ის შეკეთებას ნეტავი ამ გზის?
აღმასკომს ჩუმად წყურს ვუთხრა ყურში
მე საიდუმლო ერთი ამბავი,
(და თუ გამიგეს, როგორც წარსულში,
მაშინ ამ თქმასაც წაიღებს ზვავი):
აქ აგორებენ კამათელს ხშირად,
ზოგიერთ დუქნის ოთახში უკან.
და უნდა დასცეთ ისე თავზარი,
არ განმეორდეს იგი მას ფიან.

ჩახუნდარიძე.

ჩვენი ბრიგადა



კოლექტივიზაციის ფრონტიდან

რამდენიმე დღეა გ ?ე კახეთის [illegible] კოლექტივიზაციის რაიონში იარე.

მუხროვანიდან ხაშმისკენ შარა გზით მივდიოდი. უცბათ ვიღაცამ კინაღამ გამჭყლიტა. გავიხედე და, ორი კაცი გარბოდა. უკან უშველებელი „ფესტი“ აეკრათ. წარწერა ძლივს გავარჩიე: კულაკები ჩოლოყაშვილი დ? და-დი-ა-ნი.

თურმე გლეხებს გაუფრენიათ სოფელ ხაშმიდან.

— ჯანდაბამდის გზა გქონიათ-თქო—მივაყვირე მეც.

—:—

სოფ. ხაშმი. ჩვენ გრიგოლს რუპორიი გაუკეთებია პირზე და ისე აკეთებს მოხსენებას კოლექტივიზაციის შესახებ.

აქ კარგათ არის საქმე-თქვა, გავიფიქრე და...

—•—

გადავდივარ **სოფ. ნინოწმინდაში**—მკითხავ ქალს—ლიუსიკა ამირხანოვას გაუშლია კარტი და ურჩევს გლეხს ანდრია ყორდანაშვილს:

— დაკალი შენი ჭრელა ხარი „ბეზვარა“, მისი სისხლი წაისვი ტკივან ფეხზე და მორჩები.

ხაგარეჯოში მივდივარ. შ?თხვევით ანდრიას ეზოზე გადავდივარ. მას ლიუსიკას რჩევით „ბერზვარა“ დაუკლავს, სისხლში ამოსვრილა, მაგრამ ფეხი მაინც სტკივა.

პროსპექტზე ჩავიარე. ერთ ყოფილ სამიკიტნოში მანქანების ხმაურობა მომესმა.

შევძვერი. ბიჭოს, საკვირველება. იბეჭდება გაზეთი „მუშა“ გარე-კახეთის მთლიან კოლექტივიზაციის რაიონში.

გავიხედე. უშანგიც (გაზეთ „მუშა“-ს კანტორის გამგე) აქ ყოფილა.

მაგრამ არ მომეწონა მისი ნახვა, ფერი წასვლოდა და ყოველ წუთში თითო ჭიქა რძეს ყლაპავდა.

— რა იყო, რა მოხდა?

— არაფერი, ბენზინი გვქონდა საბეჭდ ასოების გასაწმენდათ. უშანგის წყალი ჰგონებია და გადაუკრავს.—მითხრეს სიცილით.

— თომამ მიქო საგარეჯოს წყალი. რა ვიცოდი თუ ბენზინი იყო ამ ბოთლში!—ამბობს უშანგი და თან რძეს ყლაპავს.

— უშანგი ფეჩს ახლოს არ გაეკარო, თორემ აფეთქდები!—ახელებს მას თომა.

გადავწყვიტე აქ დარჩენა.

სანამ საგარეჯოს თემსაბჭოს თავმჯდომარე ვანო გელაშვილს არ განვაბიუროკრატებ და არ მოვარჯულებ, მანამდე აქ ვიქნები

სინდისოფალა.

მოსალოდნელია გაფიცვა

ბაღდადში და სხვა მის ახლო მდებარე რაიონში მოსალოდნელია ხარკამეჩის და ციენების გაფიცვა.

გაფიცვის მიზეზათ ასახელებენ ორ გარემოებას: ერთი რომ მუშა-საქონელს სწყინს, მას რომ გვერდს უხვევენ და ტრაქტორებს დააჭენებენ, ხოლო მეორე მხრივ, მუშა-საქონლისათვის საკვები არ არის მომარაგებული.

როგორც ადგილობრივ ამბობენ, ეს უკანასკნელი მიზეზი უმთავრესი უნდა იყოს.

ტაბიკი.

„ეზრდებიან“ სოციალიზმს

— მაინც არ გვაძლევენ საშველს, მოდი კოლექტივი დავაარსოთ, — სთქვეს წალვერის 16 კულაკმა და ბორჯომის ალმასკომში კულაკური განცხადება შეიტანეს მათთვის კოლექტივის დაარსების შესახებ.

ალმასკომმა ახედ-დახედა განმცხადებლებს და გამოიცნო ჩაკულაკებული ხალხი.

— ამათ რომ კოლექტივი დავუარსო, ეს ხომ კულაკური კოლექტივი იქნება,—სთქვა მან.

არა, ჩვენ შევიზრდებით სო?ციალიზმს... კითხეთ მემარჯვენეებს... აჩოჩქოლდენ კულაკები, მაგრამ არ გაუვიდათ.

იტირეთ მემარჯვენეებო! „საწყალ“ კულაკებს არ ანებებენ „სოციალიზმში შეზრდას“.

შეზრდილი.

დედის წერილი

სოფ. ნიკორწმინდა (რაჭა)

შვილო იასონ!

მივიღე შენი წერილი.

შვილო, რო, იწერები, გენაცვალოს შენი დედა, რო ი ნოქარი გიორგი ნებურიშვილი გაისტუმრეო, რითი უნდა გავისტუმრო, შვილო, როცა იმ ხუთ თუმანში კიარ მიიღო შენი გამოგზავნილი ასი მანეთი. მაინც და მაინც ხუთმეტი თუმანი მინდაო. მე კი, შვილო, ქვე საიდან გავისტუმრებდი, როცა ერთი ყურგახვრეტილი კაპიკიანი არ მიგდია ჯიბეში. ალმასკომის მდივან ივლიანესაც ბევრი ვეხვეწე, რო მიღებინებინა ი ასი მანეთი, მარა ყურიც არ გააპარტყუნა. აქაო და მღვდელათ რო ვიყავიო, მეც აგრე ვშვებოდიო, მაგრამ სხვა კი ვერავინ მიშლიდაო.

ჰო, და ისე შვილო, ქვე როდი მიიღო ხუთმეტზე ნაკლები. იმას პალუშაც ქვე გეტყოდა, თუ როგორ გამლანძლა. რა ვიცი, შვილო, იასონ, ამგენისგან მე ვერაფელი გავიგე, ე პარტიულები სულ იმას იძახიან, რომ კულაკობა და მევახშეობა უნდა მოისპოსო და ი ჩვენი ნოქარი კი როცა პარტიული გახდა, მაშინ დეიწყო მევახშეობა და მაინც არასფერს ეუბნებიან.

სხვა, შვილო, ი რაღაც მოწმობას რომ მწერდი გამომიგზავნეო, თავმ[illegible] ქვე მაძლევდა, მარა მდივანმა არ დაუჯერა (მე ვერ გავიგე, შვილო, თუ რომელია თავმჯდომარე). მე კი, როგორც ნიკოლოზის დროს დიაკვანი ვიყავ, მენშევიკების დროს მღვდლათ დამაწინაურესო (დაწინაურება მაშინაც ქვე ყოფილა) და ბოლშევიკების დროს მდივანი ვარო; მე უკეთ ვიცი შენზეო. ეხლა რა გვაკლია, საქმის გაჭიანურებას უნდა ვებრძოლოთო, და გაზაფხულზე მოდიო, მაისშიო.

ახლა, შვილო, წერილი მალმალე გამოგზავნე, მაგრამ სანდო კაცს გამოატანე, თვარა ფოშტით რო გამოგზავნო, ფოშტის გამგე ნიკალა ქვე ხსნის წერილებს და... ახლა მშვიდობით, შვილო იასონ.

გწერს შენი დედა **ალათი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაზარზე კახეთში

— რაო! გირვანქა ერბო ათი შაური?! აკი ამ რამდე ნიმე დღის წინედ გირვანქა ერბოს სამ მანეთად ჰყიდდი?
კულაკი:—მაშინ არც კოლექტ'ივები იყო... ეხლა სხვა დროა...

უკვირს ტრესტს

ჭიათურის მარგანეცის ტრესტს უკვირს, რომ ამ ბოლო დროს შრომის ნაყოფიერება აგრე რიგათ ვერ მიდის წინ.

ეს უკვირს, მაგრამ ის კი არ უკვირს, რომ ზოგიერთ მაღაროში, სადაც 100 კაცის ადგილია, ხშირად 200 კაცი მუშაობს და ისინი ერთმანეთს ხიოს უშლიან, მიხმარების ნაცვლად.

ტრესტს ისიც უკვირს, რომ ხშირია სამუშაოზე გვიან მისვლის შემთხვევა.

ეს უკვირს, მაგრამ ის სრულებით არ აკვირვებს, რომ მუშებს ჭიათურაში ბინა არ აქვთ, იძულებული არიან ახლოხ - მახლო (და ხშირად ძალიან შორსაც) სოფლებში იცხოვრონ და სამუშაოზე მოსვლამდე 6-8 და 10 კილომეტრი გაიარონ.

ტრესტს არც ის მიაჩნია ნორმალურად, რომ მუშები გარე სამუშაოებზე ხეირიანად ვერ მუშაობენ და, რომ მათი შრომა არც ისე ნაყოფიერია.

ეს მართალია, მაგრამ ტრესტს ის რატომ მიაჩნია საღ მოვლენათ, რომ იმავე გარე სამუშაოებზე მუშები უსპეციტანსაცმელოთ — უჩექმოთ, უხელთათმანოდ და უწამოსასხამოდ მუშაობენ?

ტრესტს უკვირს, რომ მუშები სჩივიან ანტისანიტარულ მდგომარეობაზე.

ეს მართალია, მაგრამ არც ისაა ტყიუული, რომ ჭიათურის აბანოების ნახევარი არ მუშაობს, ხოლო მომქმედ აბანოებში წყალი ისევე ცხელია, როგორც თუნდაც მდინარე ყვირილაში.

უკვირს ტრესტს, რომ ჭიათურაში მუშკოოპის სავაჭრო წერტილების წინ გაუთავებელი რიგებია და მუშები სამუშაოს ცდებიან ამ რიგების გამო.

ის რატომ აღარ უკვირს ტრესტს, რომ 9.000 მუშისთვის მხოლოდ რამდენიმე კოოპ. სავაჭროა გახსნილი

უკვირს ტრესტს... ;

შეიძლება ტრესტის მუშაკებმა და ისიც უსურსათ - სანოვაგოთ?

სთქვან, რომ არც ერთი ზემოხსენებული მოვლენა მათ არ უკვირთ. თუ ეს ასეა, მაშინ ჩვენ ვამბობთ, რომ ჩვენ თითონ გვიკვირს!

ჩვენ გვიკვირს, რატომ არ მოხერხდა საქმის ისე მოგვარება, რომ შრომის ნაყოფიერება შეუჩერებლათ წავიდეს წინ, თვითღირებულება შემცირდეს, შრომის დაცვის საკითხები მოწესრიგდეს და საერთოდ გატარდეს რაციონალიზაცია?

ეს საკითხები აბარია ტრესტს და მის მუშაკებს, სხვა ხომ არაფერი? რაც შეეხება საკითხებს საერთაშორისო რევოლიუციის შესახებ, ამაზე ზრუნავენ სათანადო დაწესებულებები, ხოლო ჩვენმა ტრესტმა იმდენი უნდა მოახერხოს, რომ ჭიათურის სამრეწველო რაიონი სრულიად გააჯანსაღოს.

უკვირს და უკვირს ტრესტს...

თუ არ უკვირს, ჩვენ გვიკვირს.

გვიკვირს სწორედ, რომ არ არის საკმაოდ გამოყენებული ჭიათურის მუშათა შრომითი ენტუზიაზმი.

მელიოონე.

გამგის კარების წინ



— საქვეყნოდ უნდა გავაცხადო, რომ ჩვენი გამგე უხეშია, მავნებელი და ბიუროკრატი.

— სსსუუუ!.. გამგე მოდის! გამგე!..

ღლონტის ცხენის საიდუმლოება

ოზურგეთში ჩავედი.

— ორი ქოთანი გავტეხე ეი, ეი— ასეთი ღიღინით შემომხვდა ცხენზე მჯდომი მგზავრი. მივესალმე. სატყეო მეურნეობისკენ გზა გამოვკითხე.

— ალბად, აკაკი ჯინჭარაძეს ეძებთ ამხანაგო,— ხელად მომიგო.

—რად გინდა მისი ნახვა. ცხენი, რომელიც შენ ასე მოგეწონა, გიამზობს თვალებით. დიდი მესაიდუმლე ცხენია. ცუდი რომ იყოს ტარასი ღლონტი სახლში არც კი გააჩერებდა. ჯინჭარაძე, ამხანაგო, მეურნეობის თავმჯდომარეა. ამ ცხენმა მას 250 მანეთი გააიმასქნებია.

— როგორ?

— ჰმ, კაცს თუ კომბინატორობის ნიჭი აქვს, ცხენს კი არა ძაღლსაც კი გამოიყენებს. ჯინჭარაძეს შემოაკლდა ფული. როგორ ცუდათაა ჩვენი ქვეყანა მოწყობილი, კაცს ფული გინდოდეს, არ ჰქონდეს და დამზღვევ სალაროში კი ჩერვონცები „დესტობით“ ეწყოს? ის რა კაცია, ვინც ვერ გამოასწორებს ამ „უკანონობას“. აბა რის თავმჯდომარე ვარ, ამას თუ არ მივხედე— მოიფიქრა ჯინჭარაძემ. გაახსენდა თავის რამდენიმე ხნის მკვდარი ცხენი. გაახსენდა ისიც, რომ მას ის დაზღვეული არ ყავდა. ეცა ტარასი ღლონტის ცხენს. დააზღვევა თავის სახელზე. გავიდა ხანი და დამზღვევ სალაროში წარადგინა ცნობა, რომ მას „დაზღვეული“ ცხენი მოუკვდა.

— მერე?

მერე და ამხანაგო, ჩვენმა ჯინჭარაძემ 250 მანეთი გამოიტანა დამზღვევ სალაროდან. ტარასი ღლონტის ცხენს თვალებში აკოცა და ფულები ჯიბეში ჩაიდვა. ასე გამოასწორა მან „უკანონობა“.

ტყეს როგორ იცავს?

— გიამბობთ. სატყეოს სახელზე გამოიტანა მასალა და აიშენა სასიმინდი. სატყეო მასალას გამაოყოლა თავისთვის ასი ნაჭერი მასალა. გაუგეს და ჩამოართვეს.

მიპასუხა მგზავრმა **„სინათლის სარკემ“.**

— ნუ თუ, ეს მართალია?

— მართალი რომ არ იყოს, ენა კი არ მექავება ამხანაგო, მე გთხოვ ტარტაროზს გადასცე ჩემი ეს ნაამბობი, რომ ჯინჭარაძეს ჭინჭარით აუწვას გავა და გამოუცვალოს ჰავა, თორემ მეურნეობის საქმე ცუდათ წავა —მთხოვა მან. მეც ასე მოვიქეცი, რომ არ მომხდარიყო მეურნეობაში „პანიკა“.

დედანთან სწორია:

ივანიკა.

ჩვენი მსუგუქი კავალერიის თავდასხმა მუშათა კოოპერატივებზე

იერიშები გრძელდება. — გაგრძელება შემდეგ ნომერში

კითხვა

ამ სურათზე დახატულია მუშკოოპის აპარატში მომუშავე ბიუროკრატ მავნებელი „სპეცი“ და მის გვერდით მისივე პატარა ვაჟიშვილი.

რა განსხვავებაა მამის და შვილს შორის?

პასუხი

განსხვავებებ? ჰმ!... დიდი განსხვავებაა. აქ დახატული ბავშვი ჯერ კიდევ ლაღი და უზრუნველია. მის ვიდ სახეზე ჯერ კიდევ უმანკოება და სიფაქიზე არის აღბეჭდილი. მისი ინდივიდი ფმინდაა. უკვე ორი წელიწადია, რაც იგი ქვეყანას მოევლინა და ჯერ კიდევ არც ერთი კაპიკი მისავლელი ლიტერები ანუ „კამანდიროვოჩნი“ არ აქვს მიღებული. მას ჯერ არც ერთი ყალბი თამასუქი არ შეუდგენია, არც ერთ სალაროდან არ ქონია შეშოხიცვა ფულის „გაცოცების“. მან ჯერ კიდევ არ იცის თუ რას ქვია პროტექცია, რ. არის პირველ მოთხოვნილების საგნები, რას ქვია დეფიციტიანი საქონელი, როგორ შეიძლება მისი გადამალვა და მისით საკუთარ თავის და ნაცნობ-მეგობრებ-ნათესავ-მოკეთეების მომარგაება.

— განსხვავება?

— განსხვავებაც იგივეა: წამოიზრდება თუ არა, თუ კი დრო იხელთა, მოეწყობა თავის „პაპაშას“ დახმარებით სადმე რომელიმე საბჭოთა-სამეურნეო დაწესებულებაში, გაბეოავს შტატს, გაცვარცვავს სახელმწიფოს, შეაღგენს ყალბ თამასუქებს, მოიგონებს სხვადასხვა მივლინებებს, გააცოცებს ფულებს სალაროდან, აქეიფებს „ტურფა ქმნილებებს“, ანუ „ბანოვანებს“, მოაწყობ-მოაკვარახშინებს თფილ ადგილებზე თავისიანებს და მოამარაგებს თავის მამიდეებს, დეიდეებს, ცოლიდებს, ცოლიძმებს, ქვისლებს, ბიძეებს, ნათლიებს, ნათლულებს და ერთი სიტყვით ყველა თავის ნაცნობ-მეგობარ-მოკეთეებს. პირდაპირ მამის „კოპიია“, შენ ნუ მომიკვდები!



ეს ნოქარი რა გგონიათ?
კი არ არის ლაჩარი
მუშკოპიდან
ფართალს ჩუმად
მიაცოცებს ვაჭარი.
როცა კითხავთ—გიპასუხებთ:
„ალარ დარჩა ფართალი“,
რომ ალარ დარჩა
ჩვენც ვუყურებთ:—
პასუხია მართალი.



ეს ნოქაოი გართულია,
ბანოვანებს
უთვალთვალებს
და მრისხაენ ნერონივით
უბოიალებს მუშტარს თვალებს,
ხან ბრიალსაც
არ გაკმარებს,
წაგოუვლის ბრაზი, ბნედა—
გამარჯობა შენ
რომ უთხრა,
გიპასუხებს: „შენი დედა“!



აქ ბევრია საქონელი
პირველ მოთხოვნილების,
მაგრამ არა მუშათათვის:—
„მშვენიერი ქმნილების“,
დუხი,
კოტიკ-ლორიგაში,
პუდრი,
„ადეკალონი“,
ვიტრინას, რომ გადახედავ,
გეგონება სალონი.

სამზარეულოს ზოგიერთს
თუნდ კალმით ასწერ განაო?
შიგ ჭია-ღუა ნავარდობს,
მსუქანი ტარაკანაო.
საჭმელში ყრია „დესერტათ“
ხარა-ხურები რაც არი:
ლურსმანი,
ეესტის ნაჭერი,
ფიჩხი, ბეწვი და ბაწარი.

აშენდეს ჩვენი მუშკოპის,
დახლი, კარი და დარაბა
ზოგ სურსათს იძენ ადვილად,
არ უნდა დავიდარაბა.
მხოლოდ ერთს ვიტყვი საყვედურს,
აბა რასა ჰგავს ძამია?
ქაღალდი მომცეს გირვანქა,
ყველი შიგ ოცი გრამია.

ლიტერატურული ნობათი

პაროდიები

გ. ლეონიძე.

ყივჩაღური სიმღერები

მოზდოკში ვნახე მოვარე
ყივჩაღურ ცხენის ნალით,
ლექსებად დავიღვარე,
ვით მორცხვი პატარძალი.
რომ გამოვცურე თერგი
ქერა ქალების ხლებით,
საიათნოვას ქერქი
მშვენოდა ხელუხლები.
დონის ქალების რხევა
ჰგავდა ოპერის ბალეტს,
იქვები გარს მეხვევა
თუმცა არ ვგავარ ჰამლეტს.

—:—

ალ. აბაშელი.

პაპაჩემი.

პაპაჩემს ყავდა შვილი
ის იყო ჩემი მამა,
თუმც იყო ღვთის მორჩილი,
მან პური ვერ მოსჭამა.
პაპა სტეროიდა ცრემლით,
ქრთამს პირდებოდა ღმერთსა,
თუ გადურჩენდა იმას,
ძეს, პირმშოს, ერთად-ერთსა.
მოუკვდა პაპას შვილი
მოუშვა [illegible] წვერი,
დაკლა ორმოცზე, წყვილი
ცხვარი და ზოის მოზვერი.
დუელში იწვევდა ყველას,
ფიცხობდა როგორც ლომი.
და გაუმართა ღმერთებს
მოულოდნელი ომი.

—:—

სეზმან ერთაწმინდელი.

პარად ალლე

ენის გასატეხი

სმენაა!

მოვდივარ სეზმან!

შენ, ეი! თამადავ, ამაყო ერთაწმინდელო! —
უამაყესო სეზმან, ურჩი, გიწვევ, ო, ხმალში!..
აგერ, არენად მდებარე, მოსჩანს წინ მდელო, —
მარა... ჰა? რაო? საეჭვოა სვლა შებმად, ჰმ, ალში?!!
ნუ თუ, ასეა, გეშინია შენივე, ვხედავ... —
სადაა ჭენება შენი, ანცი ქართული?!
— ხა! ხა! ხა!.. ო, ეშაფოტი?.. ურბი, ვერ ბედავ? —
იყავ მსოფლიოში ზე ამართული.
მე კი, მეგონა... შენს თვალებში ვნება აღვსილა? —
მიქარვაა საუკუნეთა შენება ყალბად!
ოჰ ვიგრძენ, ელამ სარკეში, გამაწან სილა?..
გზაჯრავედინზე შევხვდებით ჩვენ, კიდევ, ალბად.

დედანთან სწორია. **კრაზანა.**

კ. ნადირაძე.

ოქროს დღეები.

ოქროს დღეები გაქრა
ვატარებ რკინის აბჯარს,
წლებმა გულს ბრჭყალი გამკრა
თუმცა არ ვგავარ ლაჩარს.
ველარ მოვნახე თემა
თუმცა მაღელვებს რკინა,
ასე დამსაჯა ბედმა
სიბერემ გამირბინა.
ტყემლის ყვავილებს ვარხევ
მივტირი ოქროს დღეებს,
გულს ცეცხლის ალში ვახვევ
ვეტრფი ქოჩორა ტყეებს.

—:—

პ. სამსონიძე. **მოსკოვი.**

ყური დამიგდეთ ბიჭებო!

მე კი გველივით
ლექსს წელს მოუთრევ,
თუ ვერ გიამბეთ, ეს მოთხრობა,
როგორც წესია,
სმენა!
საკვაროთ!
უპირველესად გაგიგიათ
არის ქალაქი
დიდი, მცირე,
ფართო, ვიწრო,
ამას ალბად,
ყველა მიხვდება,
რადგან. მზის სხივების
ქარავანი
ეგვირგვინება.

პოეტის ყეფა

ო, რა რიგად მტკივა
მე საბრალოს კეფა.
სადღაც ჭურში ვზივარ
და განვაგრძობ ყეფას.
დილა მოდის, დილა,
და ღამდება ღამე:
ვორუ-დილა-დილა...
ტურფავ, ტრფობა მამე;
ო, რა რიგად მინდა
ვგავდე მაღალ მგოსანს;
თვალი დაიბინდა,
მოდის სევდა ქოსა,
ლექსებს ვარხობ ისე,
ვით ბებია მჭადებს.
რა კარგია მყისვე
ჩემს ლექსს ხალხი სჭამდეს?
ო, რა რიგად მინდა
დიდი კაცი გავხდე;
გვირგვინი დავიდგა,
და ღრუბლებში ავხტე.
ტვინი ისე მტკივა,
და ცხელი მაქვს კეფა,
რა კარგია სოფლად
ღამით ძაღლის ყეფა.

ვირთხა.

ასოთ-ამწყობის ჩივილი

მუდამ ვამბობდი და ეხლაც ვიტყვი,
და კვლავაც ვიტყვი—პირში ვარ მთხოვრობი,
ზოგი ავტორი არის გულცივი,
არ ებრალება ასოთ-ამწყობი.
აბა რა არის ერთი მითხარით
ბატის ნავალს ჰგავს მათი ნაწერი,
ვერას გაარჩევ პწკარიდან-პწკარით,
არეულია სულ ყველაფერი.
თავის ადგილას მძიმე არ არის,
წერტილს ნუ იტყვით, არ არის სულა,
აბა აბზაცის თქმაც კი არა ღირს,
პწკარები პწკარზე გადახლართულა.
მათ არ სცოდნიათ, როგორც მე ვატყობ,
რა წესი არის სტამბაში ეხლა,
(სოც.-შეჯიბრებით ჩქარა რომ ვაწყობთ,
გასწორების დროს მოგვივა შეხლა).
ზოგი ასრულებს სიტყვებს „დონ"-ებით,
და ზოგიც კიდევ ათავებს „თან"-ზე,
კორექტორი კი თავისი ნებით
ორიგინალებს გადასდებს განზე.
აქ მეტრანპაჟიც ცხარობს ხმამაღლა,
უნდ: გვერდები რომ შეკრას ჩქარა,
რადგან მანქანა უცდის მას დაბლა
და მემანქანე ძველი ჭაღარა.
დავბერდი კაცი სტამბაში შრომით
ასოს ასოზე რომ ვაწყობ მწკრივად,
კიდევ კაი ხანს ვიშრომებ მგონი
თუ თქვენ ნაშრომებს დასწერთ მარტივად.

შინაური

ახალგაზრდა მხატვართა გვერდი

რიონჰესში

ნახ. ლომიძის, ქუთაისი.

ადმ. მ[illegible]:—უნდა დავა[illegible] მუშა ჯიმშ...
ადმინისტრატორი:—რას ამბობ! ის ხომ მუშკორია?!

კოოპერატივში

ნახ. მამაცაშვილის.



— უეჭველად ქალი უნდა ვიყოთ, რომ ყურადღება მოგვაქციონ?!
— რას იზამ! ჩვენც ასეთ მუშკოოპში წავიდეთ, სადაც ნოქრებათ ქალები არიან.

მზის საათი

ნახ. აბზიანიძის, პატ.-ჯიხაიში

— ნეტავი ეს ჩვენი მასწავლებელი რას მისჩერებია მზეს?
— საათი არა აქვს და სამაცადინო დროსმზით გებულობს.

საგანგებოდ

ნახ. ქიქოძის, ტფილისი



სტუდენტი: — თუ ძმა ხარ, შენებურადკარგად გამპარსე!
პარიკმახერი: — სწორედ თქვენთვის მაქვს ხერხისებური ძირშივე ილებს წვერს, რომ ისევ არ ამოვიდეს.

ორი „წმინდანი“

ნახ. დოლბაიასი, ფოთი.

ეპისკოპოზი: — ვის აბრალებ ქურდობას, შე ქურდო შენა?!.
დეკანოზი: — გირჩევნია გაჩუმდე, თორემ რაც ერთად გვიქურდია, ყოველივეს ვიტყვი.

ნახ. ი. კახიანის, ტფილისი.

სენაკის რკ.გზის სამკითხველოში

— სადღაც სიმღერა ისმის. ალბათ სეითის სამიკიტნოშია.
— არა, აგერ არის რკ. გზის სამკითხველოში.

ნახ. ლ. ასვაცატუროვის, ტფილისი.

სიძვირე

— რამდენად გადამიღებ?
— ორ მანეთად.
— ჩემს შვილს?
— იმასაც ორ მანეთად.
— ვა, როგორაა შენი საქმე! მე ამოდენა კაცი ვარ, ორ მანეთად მიღებ, — ჩემი შვილი კი ექვსი წლისაც არ არის, და იმისი გადაღება ორი მანეთი? რკინის გზაზე საბავშო ბილეთი ნახევარი ღირს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

დათვალიერება

(სუფსა)

რკ. გზის სადგურში მორიგეს ჩამოსძინებოდა. ისე ღრმად ეძინა, რომ ვერ გააღვიძა ტელეფონის რეკამ (ნატანები იძახოდა).

— მეგობარო, გაიღვიძე! — ზრდილობიანად ვუთხარი მას და ხელი მხარზე დავადე.

— ვინ არის შენი მეგობარი! მე ძველი გვარდიელი ვარ. ვაი დედასა! წახდა დრო, თვარა ახლა მე კაპიტანი და პოლკოვნიკი ვიქნებოდი მენშევიკების გვარდიაში!

— თქვენი გვარი?

— დაიკარგე აქედან!—და მეც აღარ გავძალებულვარ, რადგან ისედაც გავიგე მისი ვინაობა: **ვალიკო ჟღენტი.**

აქედან ბაზარში გავედი.

დავინახე: ვიღაც ღორი ტალახში იყო გაშხლართული. როცა ახლოს ჩავუარე, ვიცანი ჩვენი არტუშ სარაჯევი კინო-მექანიკი. დამთვრალა და, ჩვეულებისამებრ, დასძინებია ქუჩაში.



მოსიყვარულე ცოლ-ქმარივით ეძინა ერთად მასა და ღორს.

განვაგრძე გზა.

შევედი გლეხკომის საყასბოში.

შევედი და გამიკვირდა — მოსამსახურეებად შიგ ყოფილი ვაჭრები ის. გოგუაძე და ბ. ბილიხოძე დავინახე.

(ეხლა კი მივხვდი, რატომ საყვედურობს გლეხობა გლეხკომის საყასბოზე).

აქედან პირდაპირ მუშკოოპში შევედი.

— სალამი ვანო!—მივესალმე ნოქარს.

— უწევროდ არ შეიძლება!—მიპასუხა მოკლედ.

— როგორ, კაცო? სალამი უწევროდ არ შეიძლება? ჰა, საწევრო წიგნაკიც!

— ჰო, გაგიმარჯოს... სხვაზე ვფიქრობდი, წინედ რომ საკუთარი სავაჭრომ ქონდა და ხალხს ტყავს ვაძრობდი.

— აბა, თუ კაცი ხარ, სამი მეტრო აის ჩითი მომეცი.

— ის ჩითი კოლექტივისაა.. გააჭირვეს საქმე ამ ყაზახებმა კოლექტივებია თუ რაღაც ორხობა!

— მაშ ის მიტკალი ცოტა მაინც მომეცით.

— ის მე მჭირია!

— მეც მჭირია.

— ბევრ სალაპარაკოთ არა მცალია. თუ არ მოგწონვარ, წადი და მიჩივლე!—დაცინვით მითხრა და ზურგი შემომაქცია.

— წავალ და მართლაც ვუჩივლებ გამგეობაში! — გავიფიქრე გლმოსულმა, მაგრამ ამხანაგმა დამამშვიდა:

— თავი გაანებე, კაცო. ჩივილზე ყური შეჩვეული აქვთ. მაინც არაფერს ეუბნება არავინ.

სწორედ ამ ლაპარაკში ვიყავით, რომ მუშკოოპის ღვინის სარდაფში დავინახე — გამგე მელიტონ (ყოფილი მიკიტანი, ვანოს ძმა) ღვინოში წყალს ურევდა და ღიმილით ფიქრობდა: ამით ზედმეტ გასამრჯელოს მივიღებო.

აქ ვეღარ მოვითმინე და პირდაპირ „ეპოსკენ“ გავსწიე.

შევედი თუ არა ეპოში, მოლარედ დავინახე ყოფილი მღვდელი ქრისტეფორე.

— მთლად დამნავსავს თუ ჩქარა არ წავედი! — გავიფიქრე და მაშინვე უკან გამოვბრუნდი.

„უკმეხი“.

ორი ამბავი (ქუთაისი)

ამბავი პირველი

ქუთათურ გამფლანგველებს შორის პირველობა ერგო საბაზრო კომიტეტს. თუ უფრო დიდ ორგანიზაციებს წლობით ვერ მოუხერხებიათ თუნდაც ასეული მანეთების გაფლანგვა, საბაზრო კომიტეტმა სულ რაღაც 9 თვის განმავლობაში გაფლანგვის ნაყოფიერება ასწია 16.000 მანეთამდე.

უმადურმა მუშგლეხინმა ასეთი „დიდი მიღწევა“ ჩაუთვალა კომიტეტის შემადგენლობას ბოროტად და 7 კაცი მოხსნა სამსახურიდან პასუხისგებაში მიცემით. საბაზრო კომიტეტის თავმჯდომარის სილოვან ლაჭყეპიას „სწორი გამოკვლევით“ მას უნდა ჩაეთვალოს მხოლოდ დეფექტათ არა სწორი განაწილება გაფლანგული თანხისა თანამშრომლებს შორის: მაგ., თვითონ ლაჭყეპიამ გაფლანგა 6.000 მანეთი, მის მოადგილე თავხელიძემ კი— 800 მანეთი, რწმუნებულმა მესხმა — 700 და ბუჰხალტერ მღებროვმა — 600 მანეთი. ასე მიდის სხვა დაბალ თანამშრომლებზედაც.

იქნებ პროკურატურა მაინც ჩაერიოს მათ შინაურ საქმეში.

ამბავი მეორე

„საქარბამბას“ ჰყავდა რწმუნებული ახმედოვი, რომელმაც 1925 წელში „გაიმასქნა“ 16.500 მანეთი.

„საქარბამბის“ სწორი მოსაზრებით, პროლეტარულ სასამართლოს არ უნდა მიესაჯა ახმედოვისათვის 10 წლის პატიმრობა სასტიკი იზოლიაციით, ვინაიდან ახმედოვი სოციალური წარმოშობით არაპროლეტარი, არამედ ყოფილი მექარხნეა, და, რასაკვირველია, მას თავისი თვიური ჯამაგირის 200 მანეთს ზევით უნდა გაეფლანგა 16.500 მანეთი.

იცავს რა „საქარბამბა“ თავის წინა მოსაზრებას, დღესაც ვერ ურიგდება ახმედოვის „უდანაშაულოდ დასჯას“ და რაღაც გამოურკვეველი სასწაულით ახმედოვი მიავლინა ყარაიაზში ბამბის მიმღებათ.

ტარტაროზი ცნობილი მათემატიკია და უსათუოდ გამოიანგარიშებს: 1925 წლიდან დღემდე გავიდა თუ არა 10 წელი.

ახმედოვის „პრინციპიალური“ შეხედულებით, „საქარბამბას“ სწორი ხაზი აულია.

ხლისტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გემრიელი ლუკმა



— სად მიგაქვს, კაცო, ეს ძროხის ჩონჩხი?

— აგერ მიმაქვს ძაფ-სალებ ქარხნის სასადილოში...
ხორცი სხვაგან გავყიდე და ძვლები აქ მინდა გავასაღო.

ევსევის ქორწილი

(ძირულისათვის)

ევსევიმ ქორწილი გადიხადა
დაპატიჟა ძმა-ბიჭები,
პარტიული ბევრი ჰყავდა,
თავმჯდომარე კიდევ სხვები.
ციბრუტივით ტრიალებდა,
მასპინძელი მხიარული,
მაგიდაზე უხვათ ჰქონდა
შემწვარი და მოხრაკული.
გაიმართა ქეიფობა,
სჭექეს მრავალ ჟამიერი,
ჩაის ჭიქებს ყანწი მოყვა
და შეიქნა სმა ძლიერი.
ბარბაქაძე ადგა და სთქვა:
ძმებო, მაშ სად გაგონილა—
ქორწილში თუ ტამბაჩების
სროლა მაინც არყოფილა?!
უყროშიძემ უპასუხა:
მართალს ამბობ და არ სცდები
„კამპანიავ არ შეშინდეთ“,
მოახდინეს სროლის ცდები.
შეზარხოშდენ, აქ სტუმრებმა
პარტო ესეც არ იკმარეს,
ჰდივნიშვილი სუფრის თავზე
გადმოხტა და დაუარა.
მასპინძელმა ტაში დაკრა,
ჰრე გაიალეთ და განიო,
ჰთვრალია და პასუხს მოგვთხოვს
ეს პარტიის მდივანიო.
შეხეთ ერთი, როგორ უვლის,
დგება ფეხის ცერზედაო,
კარგათ შვენის გალიფე და,
მაუზერი წელზედაო.

ძირულელი თალა.

ვინ არის?

ქარელისათვის

ქოველდღიური დღეობით, ლხინით
ულაქლაქებდა სახის ელფერი.
აფრქვევდა ჰანგებს ტკბილი ღიღინით:
„ჩვენა ვართ ეხლა თქვენი მეფეხი“.

—:—

ოცდა ერთ წელში დაეცა ელდა...
გამოიცვალა ტყავი გველმა და
სოფელს კრებისთვის გამოსულს ველად
თავს აჩვენებდა იგი ბელადათ.
და იყო კითხვა მოულოდნელი:
„იგი ვინ იყო? მისთვის რა ვიყოთ?“
გამოაძვრინეს მლიქვნელი გველი
ნდობით აღსავსე ბატკნის ტყავიდან.
ლოდინს გულის-თქმა ველარ ყოფნიდა,
ისწავლა თუმცა თოფის ხმარებაც,—
მაგრამ ცდა იყო უნაყოფო და
ვით ცოცხალმკვდართა გაფართხალება.

—:—

დაიწყო შემდეგ პარტიულ კაცის
ფარისეველმა სასიძოთ ძებნა,—
მაგრამ სასიძო კულაკურ განხრით
უჯრედმა სწრაფად გამოაძევა.
შ...ილიც მოადგა უცბად კარებზე
სასწავლებლიდან პანღურ ნაკრავი.
ბრაეინ იდგა იმის მხარეზე...
ამაოდ სცდილობს რომ გახდეს კრავი.

ქოროღლი.

25 თებერვალს გამოვა

„ტარტაროზი“-ს სპეციალური ნომერი

საქართველოს გასაბჭოებაზე

ს ა ჩ ხ ე რ ე

საჩხერეში ვინ არ იცნობს
მასწავლებელ ბრეგვაძეს,
ერთხელ წელი მოუთრიეს
მას გლეხების კრებაზე.
ენუქა მისი სახელი
ცნობილი ინტრიგანია,
ლოთი-შფოთი და მოკრივე,
ხან კიდევ ენატანია.
სიმულიანტი, ორგული
საქმისა ამის ყოველის,
ახალგაზრდობა იმისგან
ნუ თუ სიკეთეს მოელის.
გალეშილს მოაგონებდა
სადაც ლამაზი ქალია,
თავის გართობა სჭირია
რადგან დღეს მაგრად დალია.
ერთი ასეთი ოინი
მან მოახდინა სკოლაში,
მასწავლებელ ქალს ეწვია
კაკრაზ ლოგინად წოლაში.
უბრალუნებდა კარებსა
მიხტომა აბა რას ქვია,
ჭუჭრუტანაში რომ შეძვრეს,
სურს ვით წრუწუნა თაგვია.
მაგრამ ენუქას ამოსცხეს
მაგარ-მაგარი პანღური
და საჭირო ბრეგვაძეს,
რომ აუწიონ კვლავ ყური.

ბიკა.

„დ ი დ ი კ ა ც ი“

ალმასკომში

სულ მანქანაზე ტირილი,
სულ ტელეფონზე ცილობა.
რა ხათაბალა ყოფილა
სავაჭრო განყოფილება.

ოთხი თვე არის, რომ გამგეს
უშრება საწყალს სისხლია;
მისგან პრეზიდიუმს და მდივანს
ოცი მიმართვაც მისვლია:

„გთხოვთ შეგვიკეთოთ ელსმენი,
გთხოვთ მოგვცეთ ერთი მანქანა,
და ელექტრონის სინათლე,
რომ ვიმუშაოთ აქანა“.

მაგრამ ვერ გასჭრა ვერც წერამ,
ვერც კობეებზე სირბილმა,
ტელეფონიც და მანქანაც
შთანთქა რალაცა სიკვდილმა.

ბოლოს გავიგეთ მიზეზი,
საქმე სხვაგვარად გვქონია:
თურმე გამწყრალი ყოფილი
დაბალი ტანის შონია.

რას იზამ—კომენდანტია,
საწყობი იმის ხელშია,
ამიტომ ვინც მას არ მოსწონს,
სულ ყველას უჭერს ყელშია.

ოთხი თვე მანქანის ძებნა
და ტელეფონზე ცილობა,
რა ხათაბალა ყოფილა
სავაჭრო განყოფილება?!.

სანჩ...

ქ უ ჩ ა ში

— რას გაჩერებულხარ ამდენ ხანს ეს?
— ვერა ხედავ წარწ...ს? მინ გავჩერდი.

გ ა მ ო ც ა ნ ე ბ ი

(ამაღლება, გურია)

1.

ერთად მსახურებს ცოლი და ქმარი,
მდიდრულად მორთეს სახლი და კარი;
ორივეს უყვარს ბლომად ქანქარი,
დასაშვებია საქმე ამგვარი?..

2.

ერთძა გაჰყიდა ულიისა ხარი,
ფასად აიღო ასი ქანქარი,
დამზღვევ სალაროს კი წარუდგინა,
თითქოს დავმტვრა და ნახა მკვდარი.
გამოსაცნობად ძნელი არ არის
მისი სახელი და მისი გვარი,
რომ პასუხსაგებ ალაგზე იყოს,
შესაფერია ან შესადარი?

ქვიშხნარელი.

აბას-აბასის ქუჩაზე
სახლი ნომერი შვიდია,
კომენდანტია შონია
საქმე ფეხებზე ჰკიდია.
ტერ-გეორდინი შელალა
გამგეობაში შალვამა,
რადგან დაადნო მის ქალთან
ახლო დგომამ და ალვამა.
შავისიელია ეს მღვდელი
მას ქვისლიც მხარსა უმშვენებს,
მმართველ სამეულს სახლისას
ნეტავ გზას თუ ვინმე უჩვენებს?

თანი.

სინამდვილე ერთ საკბილოთ

(ფიათურა)

მუშკოპის გამგე: — გამარჯობა ამხ. პეტრე, რატომ დამივიწყე, შე კაცო? ერთხელ ჩვენსკენაც შემოიარე. ამხ. პეტრე, მართლა, როგორც ვიცი, შენ გაზეთებში სწერ.

პეტრე: —ჰო, ხანდახან... რაშია საქმე?

მუშკ. გამგე: — ეჰ, ბიჭო, თუ ძმა ხარ დასწერე, რამე ჩემზედ შენ გენაცვალე.

პეტრე: — უკაცრავათ, ამხ. სიპიტო, მე მოსყიდული მუშკორი არ გახლავართ.

მუშკ. გამგე: — რას ჯავრობ, შე კაცო, გამიგონე: მე ხომ ქებას არ გთხოვთ; პირიქით, — მაგინე, მლანძღე რაც შეიძლება ბევრი. მასალებს ჩემს შესახებ მე თითონ მოგაწვდი... აბა ყური დამიგდე, აი, მაგალითად, ყოველ კვირაში სამი დღე „კამანდიროვკაში“ ვარ და კაპიკის საქმე არ გამიკეთებია. კერძო ვაჭრებს ვაძლევ მუშკოოპიდან საქონელს. ბიძაშვილი მივიღე მოლარეთ გუშინწინ... ამაზე მეტი მასალა რაღა გინდა, შე კაი კაცო?!.

პეტრე: — მერე და შენი თავის წინააღმდეგ ისევ შენ ილაშქრებ?! მაგ საქმისათვის შეიძლება ქეც დატუსალონ.

მუშ. გამგე:— რას სულელობ, ბიჭო, მე პრაქტიკიდან გეუბნები, თვარა რავა, მე ჩემი თავის მტერი ვარ თუ? პირველათ ბიბლიოთეკის გამგე ვიყავი. გამსწერეს გაზეთში — სამკითხველო მუდამ დაკეტილიაო.... აიღეს და ალმასკომში მდივნათ გადამიყვანეს; ვილაცამ გამსწერა — გლეხებს ცუდათ ეპყრობაო, ქრთამებს იღებსო. აიღეს და მოლარეთ გადამიყვანეს. იქ ცოტა გაფლანგვა მომივიდა. მუშკორებს არც ეს გამოეპარა, გამჭიმეს გაზეთში. აიღეს და გაჯავრებულ გულზე მუშკოოპის გამგეთ გადამიყვანეს.

ეხლა, კაცო, მიშველე რამე. იუნებ უფრო კარგ სამსახურში გადამიყვანონ. დამწერე გაზეთში, შენ გენაცვალოს სიპიტოს თავი!

პეტრე: — ჰმმ!

შაკო.

„სადარაჯოზე“ ხონი



— რა გინდა, კაცო, აქ? აქ ხომ სადარაჯო არ არის?
— რატომაც არა! ვუდარაჯებ — ეგებ ვინმემ სამიკიტნოში დამპატიჟოს.

გამოცანა
(საჯევახოსათვის)

თემგლეხკომში მსახურობდა
წოდებული თავმჯდომარედ,
და მისული მასთან გლეხი,
[illegible] ბევრჯერ გარეთ.
კაცი იყო მეტად ფლიდი,
გულმაგარი, როგორც კაჟი,
პარტრიგებში გეიპარა,
მიითვისა სხვისი სტაჟი.
როცა საქმე გამოჩარხა,
მოიმაგრა იმან ფეხი,
არ დაინდო და გალახა,
თორმეტამდე სოფლის გლეხი.
ალარავინ არ ზოგავდა;
მოსდიოდა ხშირად ბრაზი;
ავად ჰყავდა სახლში მამა —
კუბოს მისცა მან „ზაკაზი“.
ადგილამდე მიაღწია
განალახავ გლეხთა სიამ,
და პასუხი ჯეროვანი
გასცა პარტწმენდ კომისიამ.

„ტელა“.

ყიჟლიჟოს. შე კაი კაცო, ახალსენაკიდან ჩამოდი, გვინახულე და აბაზე უკეთესი ძღვენი ვერაფერი მოგვიტანე:

ვაი-უი, ვაი-უი
გახმა ხელი, გახმა გული.
არც მსურს კოცნა და არც ხვევნა
და არც რამე არშიყული.

ალბად ძველი მასალებიც ამ ჯიშისა იყო და იმიტომ ვერ ნახეთ „ტარტაროზში“ დაბეჭდილი.

ტეტიას. ეს წერილი არ გამოგვადგა.

ჭრიჭს (სუფსა). არც ისე ცუდად ყოფილა „ეპო“-ში განაწილების საქმე დაყენებული, როგორც თქვენ გგონიათ:

შალეული თუ მოვიდა,
ჯერ ნოქრები ინაწილებს.
შემდეგ მიაქვს გამგეობას
და იმათსა ბიძაშვილებს.

ალბად, ამიტომ, და სწორედ ამიტომ მოხდა, რომ:

და ერთმანეთს თმებში ეცენ
სოფიო და პელაგია.
ერთს დაეხა ჩითის კაბა,
და მეორეს — პერანგია. (ეს კიდევ არაფერია, ხოლო თქვენ არ ხევდეთ აქ რითმისათვის პერანგს).

ფარ-ნის (პერევისა, ჭიათურა). საკვირველია თქვენი წერილი კოოპერატივის ნოქარ წერეთლის შესახებ, რომ ის:

სახლისკენა ეზიდება
შაქარსა და ფართალს.
წონაშიაც ბლომად აკლებს,
მართალს ვამბობთ, მართალს.

ჰო-და, ეს თქვენი წერილი საკვირველი იმით არის, რომ — თქვენ ნაცვლად იმისა, რომ, როგორც ადგილობრივ საზოგადოებრივ ორგანიზაციის ხელმძღვანელთ ყურადღება მიგექციათ ამისათვის მანდვე სხვა შესაფერ ორგანოებთან საკითხის დასმით, — თქვენ დამჯდარხართ და ორ კაცს მთელი ღამის განმავლობაში გიწერიათ ლექსი, და ისიც ისეთი ცუდი. მართალია, თქვენს ნოქარს უკეთესი ლექსი არ ეკუთვნის, მაგრამ რა დაგიშავა ჩვენმა ჟურნალმა, რომელსაც სთხოვთ თქვენი ნაწარმოების დაბეჭდვას. მეტი უნარი და გამბედაობა გმართებთ ადგილობრივ მოღვაწეებს.

გრ. ნაციხარს (ხონი). სწერეთ მოკლეთ და გარკვევით. მილიციის შესახებ იხილეთ კარიკატურა მე-15 გვერდზე.

ხერეპეის (აქვე). მოურიდებლად რომ გითხრათ პასუხი, ის ასეთი იქნება: არ ვარგა ეს თქვენი მასალა.

„ფარულს“ (ქუთაისი). მოდითდა ეს ლექსიც ფარულად შევინახოთ. ქუთაისის მუშკოოპზე ისედაც ბევრი იწერება.

წიფნ-ელს (ქუთაისის ძაფსაღები ქარხანა). კიოსკის შესახებ ასეთ ლექსს გვწერთ:

გაიხსენენ მათ აგვისტო
რიცხვით მგონი ოცდა ხუთი,
ზოგს ჩითს მეტრსაც არ აძლევდენ,
ზოგს მიჰქონდათ ხუთი ფუთი.

შე კაი კაცო, თუ თქვენი კიოსკი ჩითს ფუთობით ჰყიდის, თქვენც გეყიდათ მისგან ამ წერილისათვის ნახევარი კილ. მარილი და ერთი-მეათედი გრ. პილპილი.

სასადილოს შესახებ კი — სწერთ:

დღე და ღამე რომ უყურო,
არვინ მოდის შენთან არა.
თუ გადირსეს — მოგიტანეს,
კერძში არის ტარაკანა.

კიდევ კარგი რომ ტარაკანა ყოფილა. თქვენს წერილში ვერც ეს ამოვაჩინეთ.

ქოჩორას (ს. გორა-ბერეჟოული, ჩოხატაური). თქვენს ცნობას ვათავსებთ **რადიოში.** თუ ეს ქორი გამოდგა, იცოდეთ არ შეგარჩენთ მაგ ქოჩორს.

კაკულას. რადგან, როგორც თქვენ იწერებით, ეს წერილი უკანასკნელია და აწ აღარ შეგვაწუხებთ, სამაგალითოთ ვბეჭდავთ ამ ამონაწერს:

აწ აღარ ვარ, ძმაო,
მე დამწერი ლექსის;
ყანაში მივეხმარები,
მამაჩემს ალექსის.

აი, ეს კი კარგი საქმეა.

არ მოგვატყუილოთ, კიდევ არ გამოგვიგზავნოთ.

კულაკის თავდასხმა

ძროხა (ვირს):—შენ რაღა მოგვარბენინებს? შენაც ხომ ვერ დაგკლავს.
— ის ოხერი ისე გაგოროტებულია, რომ არც მე დამინდობს, ჩემს ხორცსაც შესჭამს.

რედაქ.: სარ. კოლეგია; გაზ. „მუშას“ გამოცემა; საქ. პ.-ტრ. 5-თე სტამბა; მთავლ. № 1319